

**კრიმინალურ მოვლენათა აღრიცხვის და მონიტორინგის  
ინფორმაციული სისტემა**

გია სურგულაძე  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

**რეზიუმე**

განიხილება კრიმინალურ მოვლენათა ელექტრონული აღრიცხვისა და საქმეთა წარმოების სისტემაში მონიტორინგის ამოცანების რეალიზაცია, შსს საგამოძიებო ორგანოებზე საპროკურორო ზედამხედველობის პირობებში. გათვალისწინებულია სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსის მოთხოვნები. სისტემა მოიცავს წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო პროცესის ეტაპებს. ნაშრომის შედეგები ორიენტირებულია საქართველოში სისხლის სამართლის დანაშაულთა აღრიცხვისა და წარმოების გამჭვირვალე მონიტორინგის ერთიანი, გლობალური საინფორმაციო სისტემის შესაქმნელად კლიენტ-სერვერულ არქიტექტურაზე. შემუშავებულია სისტემის არქიტექტურა, მონაცემთა ბაზები და მომხმარებელთა ინტერფეისები ობიექტ-ორიენტირებული მოდელირებისა და ვიზუალურ-კომპონენტური დაპროგრამების გამოყენებით.

**საკვანძო სიტყვები:** საინფორმაციო სისტემა. მონიტორინგი. ადმინისტრაციული ორგანოები. ობიექტ-ორიენტირებული მოდელირება. ვიზუალურ-კომპონენტური დაპროგრამება.

**1. შესავალი**


კრიმინალურ მოვლენათა დიდი რაოდენობა, მათი საქმისწარმოებისა და მენეჯმენტის სირთულე, განსახორციელებელ ამოცანათა ფართო სპექტრი, ამ პროცესში ჩართული ადმინისტრაციული და სამართლებრივი ორგანოების კადრების (გამომძიებლები, პროკურორები, მოსამართლეები და სხვ.) მრავალრიცხოვნობა, წინასასამართლო გამოძიების მოკლე ვადები და დიდი ინფორმაციული ნაკადები (საკანონმდებლო, ნორმატიული, ოპერატიული, საცნობარო, ექსპერტიზული და სხვ.), კრიმინალური და პროცესუალური სტატისტიკის ოპერატიული წარმოება, სახელმწიფო ზედმდომ ორგანოებთან ანგარიშგება და ა.შ., ყოველივე ეს განაპირობებს იმას, რომ კრიმინალურ საქმეთა წარმოების მონიტორინგის ელექტრონული სისტემა მიეკუთვნება რთული სისტემების კლასს. მისი რეალიზაცია განხორციელდება უახლესი კლასტერული ინფრასტრუქტურებით და ინტელექტუალური პროგრამული ტექნოლოგიებით [1,2].

**2. ძირითადი ნაწილი**

კრიმინალურ მოვლენათა ელექტრონული აღრიცხვისა და საქმისწარმოების მონიტორინგის ქსელური სისტემა მართვის დონეებისა და პროცესების სქემატური წარმოდგენით, მათში ინფორმაციული ნაკადების მოძრაობის გათვალისწინებით ნაჩვენებია 1-ელ ნახაზზე.


კრიმინალურ მოვლენათა წარმოების ერთიანი კომპიუტერული სისტემა მოიცავს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და გენერალური პროკურატურის რეგიონულ (რაიონულ), საოლქო, ავტონომიური რესპუბლიკებისა და უზენაესი სასამართლოების სისხლის სამართლის საქმეთა წარმოების პროცესების (აღრიცხვა, კოორდინაცია, ზედამხედველობა, სტატისტიკური დამუშავება, არქივირება, მონიტორინგი და ა.შ.) ავტომატიზაციას. სისტემის ფუნქციონირების ასეთი ზოგადი სქემის მიხედვით, რომელიც შეესაბამება რეალურად არსებულ ხუთდონიან სტრუქტურას (წინასასამართლო გამოძიების მოკვლევის დონე-0, საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების დონე-1, საპროკურორო ზედამხედველობის დონე-2, სისხლის სამართლის (სს) საქმის სასამართლოში განხილვა: პირველი წარდგენა მაგისტრატ მოსამართლესთან, წინასასამართლო სხდომა, სს საქმის არსებითი განხილვა პირველ ინსტანციასა და აპელაციაში დონე-3; და ბოლოს, სს საქმის და საკასაციო საჩივრების განხილვა უზენაეს სასამართლოში დონე-4). კონკრეტული სს საქმიდან გამომდინარე, მოვლენის (დანაშაულის) სპეციფიკისა და მისი ჩადენის ადგილმდებარეობის მიხედვით, ასეთი ზოგადი სქემა ადაპტირდება შესაბამისად, რეგიონებისა და გამოძიების ქვემდებარე ორგანოების მიხედვით. სს საქმეთა წარმოების პროცესში მონაწილე თანამდებობათა (როლები) და მათი ფუნქციათა სქემატური აღწერა ხორციელდება UML ტექნოლოგიის Use\_Case დიაგრამებით,

ბოლო ტექნოლოგიურ-ინფორმაციული სქემა, რომელშიც ასახულია საგამომიებო, საპროცესო და სასამართლო პროცესების ცალკეული მოქმედებები, აღიწერება Activity-D დიაგრამებით [4].



ნახ.1. სისტემის ფუნქციონირების სქემა (S-Server, C-Client, a-არქივი)

კრიმინალურ მოვლენაზე შეტყობინების დაფიქსირებისათვის რამდენიმე წყარო არსებობს (ნახ.2)



ნახ.2.

**მოვლენების დაფიქსირების სამორიგეო შპრნალი**

მოვლენები | მოვლენის რამდენიმე | ფაქტობრივების ოქმი |

მოვლენის-იდ

რა მოხდა

სად

თარიღი  დრო

განმცხადებლის ვინაობა

განმცხ. მიხამართი

წყარო

ქვემდებარეობა

გვერდები: 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40 41 42 43 44 45 46 47 48 49 50 51 52 53 54 55 56 57 58 59 60 61 62 63 64 65 66 67 68 69 70 71 72 73 74 75 76 77 78 79 80 81 82 83 84 85 86 87 88 89 90 91 92 93 94 95 96 97 98 99 100

ნახ.3

მორიგე აფიქსირებს შეტყობინებას ელექტრონულ „სამორიგეო ჟურნალში“ (ნახ.3). აქ მოთავსდება ყველა საჭირო საწყისი ინფორმაცია და შეტყობინება ოპერატიულად გადაეცემა მორიგე გამოძიებულს. იგი გადის შემთხვევის ადგილზე და აგროვებს ინფორმაციას მომხდარ მოვლენაზე.

თუ მოვლენა მიეკუთვნება კრიმინალურს, გამოძიებელი ავსებს ელექტრონულ „ფორმა-№1“-ს (ნახ.4) და ზედამხედველ პროკურორს „ელექტრონულად“ შეატყობინებს მის შესახებ (ნახ.5).



Regioni	რაოდენობა
შიდა ქართლი	14
თბილისი	31
ბათუმი	3
ჯუბია	22
იმერეთი	11
კახეთი	12
კუთაისი	2
სამცხე-ჯავახეთი	20
სამეგრელო	22
სვანეთი	13
<b>ჯამი</b>	<b>150</b>

ა)

Regioni	DanaS_saxe	Mdgomareoba	2005	2006	2007	ჯამი
შიდა ქართლი	თაღლითობა	ჩაუხსნელი	1			1
		ჯამი	1			1
მარცხა	ჩაუხსნელი			1		1
	ჩახსნილი		1			1
	ჯამი		1			2
ჩატარება	ჩაუხსნელი			1		1
	ჯამი			1		1
შეღველობა	ჩაუხსნელი		1		1	2
	ჯამი		1		1	2
ნაბეჭადები	ჩაუხსნელი				1	1
	ჩახსნილი		1	2	2	5
	ჯამი		1	2	3	6
ქურდობა	ჩაუხსნელი		1			1
	ჩახსნილი				1	1
	ჯამი		1		1	2
<b>სულ ჯამი</b>			<b>5</b>	<b>2</b>	<b>7</b>	<b>14</b>

ბ)

ნახ.6

**ლიტერატურა:**

1. სურგულაძე გ. კრიმინალურ საქმეთა ელექტრონული წარმოების პროცესების ავტომატიზაცია. სტუ შრ.კრ. №1(467). თბ., 2008
2. სურგულაძე გ., შონია ო., შონია დ. კომპიუტერული სისტემის დაპროექტება და რეალიზაცია UML-ტექნოლოგიით ოპერატიულ-სამძებრო სამსახურის მაგალითზე. „მეც.-ტექნ.“, №10-12, თბ., 2005
3. ახობაძე მ., ბოსიკაშვილი ზ., გოგიჩაიშვილი გ., სურგულაძე გ., სუხიაშვილი თ., ღვინევაძე გ. სასამართლო საქმეთა წარმოების ქსელური მართვის ავტომატიზებული სისტემა. მონოგრ. სტუ, თბ., 2006.
4. სურგულაძე გ., დოლიძე თ., ყვავაძე ლ. კომპონენტურ-ვიზუალური დაპროგრამება: ინტერფეისების აგება C# და C++ ენებზე მონაცემთა განაწილებული ბაზებისათვის. სტუ, თბილისი, 2006.

**ИНФОРМАЦИОННАЯ СИСТЕМА МОНИТОРИНГА УЧЕТА И ДЕЛОПРОИЗВОДСТВА КРИМИНАЛЬНЫХ СОБЫТИЙ**

Сургуладзе Г.Г.

Грузинский Технический Университет

**Резюме**

Предложенные результаты работы ориентированны на создание в Грузии единой, глобальной информационной системы прозрачного мониторинга для электронного учета и делопроизводства криминальных явлений и процессов на базе клиент-серверной архитектуры. Разработаны архитектура системы, базы данных и интерфейсы конечных пользователей на основе использования объектно-ориентированного моделирования и визуально-компонентного программирования.

**INFORMATION SYSTEM FOR MONITORING ACCOUNTING AND OFFICE-WORK OF CRIMINAL EVENTS**

Surguladze Gia

Georgian Technical University

**Summary**

Results provided in the work are focused on creation in Georgia uniform, global information system of transparent monitoring for the electronic account and office-work of criminal events and processes on the basis of client-server architecture. The architecture of system, database and interfaces of end users on the basis of use of object-oriented modelling and visually-componental programming are developed.